საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის

ბრძანება №17
2025 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საპატენტო კანონის 8^1 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 110318014, 22/03/2011, სარეგისტრაციო კოდი: 050040000.48.065.016002) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების:

1. მე-8 მუხლის 8^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^2 პუნქტი:

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დიზაინის გამოსახულება შეცვლილი ფორმით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქპატენტის თავმჯდომარე **სოსო გიორგაძე**